მარიამ მიდელაშვილი

კავკასიის ეკონომიკის სკოლა (CSE)

კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის კურსდამთავრებული, მარიამ მიდელაშვილი სწავლას იტალიაში აგრძელებს.

მარიამი ტრენტოს უნივერსიტეტის საერთაშორისო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა სრული დაფინანსებითა და ყოველთვიურო სტიპენდიით. მარიამი ასევე ჩაირიცხა ბუდაპეშტში, კონვინუსის უნივერსიტეტში, თუმცა არჩევანი იტალიაზე შეაჩერა.

“კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე. კავკასიის უნივერსიტეტმა მომცა დიდი ცოდნა, მოტივაცია და გამოცდილება, რომ ჩემი ძალები უცხოურ უნივერსიტეტებში მომესინჯა და ევროპაში სწავლა გამეგრძელებინა, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ.